ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5553864

ნომერი: AR1844756

თარიღი : 17.08.2021

გაცემის თარიღი : 18.08.2021

გაცნობის თარიღი : 18.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , N 45ა ; ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი II , N 45ა , მიმდებარედ (ნაკვეთი 11/069);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ კვირცხალია პ/ნ 01001009860
- თბილისი გლდანის დას. მამკოდის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021

წლის 17 აგვისტოს №AR1844756 განცხადებით მომართა თემურ კვირცხალიამ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 19 აპრილის №5371891 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.12.011.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სკოლის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 19 ივლისიდან 2022 წლის 19 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 19 ივლისიდან 2022 წლის 19 ივლისის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 19 ივლისიდან 2021 წლის 19 ივლისის ჩათვლით“.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2021 წლის 06 ივლისის №AR1835875 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 12 თვეზე და სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2022 წლის 19 ივლისის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 19 ივლისიდან 2022 წლის 19 ივლისის ჩათვლით“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 19 ივლისის №5502842 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.